„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

ხელშეკრულება №42

ქ. ხობი 30 მაისი 2013 წელი

1. ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“ (შემდგომში „შემსყიდველი”), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N202, საიდენთიფიკაციო კოდი 244691259; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ანგ/ნომ:GE90LB0113171075820000.ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი;LBRTGE22 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შ.პ.ს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი თათარიშვილის სახით**

და მეორეს მხრივ, ი/მ. „ვაჟიკო ბერიშვილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი: საქართველო.ქ ზუგდიდი. საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ლიბერთი ბანკი“. ბანკის კოდი: LBRTGE22. ა/ნ N GE07LB0112186659206000 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **ვაჟიკო ბერიშვილის სახით.**

შესყიდვა ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №1 განკარგულების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენთიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება.

2.1. ხელშეკრულების ობიექტებია: სათადარიგო ნაწილები(GVP34300000)

2.2. ხელშეკრულების ობიექტის ერთეულის ან მთლიანი ღირებულება:

ხელშეკრულების ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 250(ოასორმოცდაათი) ლარს.

.3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურეობის ხარისხი-საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა.

სტანდარტებთან შესაბამისობით

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურეობის გაწევის ვადები:

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1.წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხარისხიანად და დროულად.

5.3.საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი- უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით

6.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია-(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)

არ გამოიყენება

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი-

პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს საქონელი .

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მიმწოდებელი ჯარიმის სახით გადაიხდის სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორსმაჟორული სიტუაციები -

10.1 .მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებში ფასების 5% -ით ან მეტით ცვალებადობის შემთხვევაში, როგორც ზრდის ასევე შემცირების, ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის 5%-ზე მეტით ცვალებადობის შემთხვევაში, როგორც ზრდის ასევე შემცირების შემთხვევაში, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა , რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5 %-ით ან მეტით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული გარემოების არსებობისას.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ივნისამდე.

13. დავების გადაწყვეტის წესი -

13.1 დავების გადაწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით.

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. 1(ერთი)რჩება შემსყიდველს, ხოლო მიმწოდებელს გადაეცემა 1(ერთი) ეგზემპლარი.

14.4. მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„ შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“-ს	ი/მ. „ვაჟიკო ბერიშვილი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:	/ვ.ბერიშვილი/
/გ. თათარიშვილი/	